პრესრელიზი

ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისათვის (AGREEN)

2021 წლის 26 თებერვალს ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისათვის (AGREEN) პროექტის ფარგლებში გაიმართება ონლაინ შეხვედრა, რომლის მიზანია პროექტისა და კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობაში არსებული მდგომარეობისა და გამოწვევების შესახებ დაინტერესებული მხარეების ინფორმირება. შეხვედრა ორგანიზებულია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მიერ. შეხვედრა ჩატარდება პლატფორმა Zoom-ით. დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ გაიაროთ წინასწარი რეგისტრაცია და მოგვწეროთ მონაწილეობის შესახებ ელექტრონულ ფოსტაზე projects@elkana.org.ge 2021 წლის 23 თებერვლის ჩათვლით.

პროექტი AGREEN მიზნად ისახავს თანამშრომლობისა და ტრანსნაციონალურ დონეზე ცოდნის გადაცემა/გავრცელების შესაძლებლობების შექმნას კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მხარდასაჭერად.

პროექტი ხორციელდება დობრუჟას აგრარულ და ბიზნეს-სკოლასთან (ბულგარეთი), კონსტანტას ოვიდიუსის უნივერსიტეტთან (რუმინეთი), ტეკირდაგის ნამიკ ქემალის უნივერსიტეტთან (თურქეთი), ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანასთან“ (საქართველო), აგრობიზნესის კვლევისა და განათლების საერთაშორისო ცენტრთან (სომხეთი) და აღმოსავლეთ თესალონიკის ადგილობრივი ხელისუფლების განვითარების სააგენტოსთან (საბერძნეთი) თანამშრომლობით.

პროექტი დაფინანსებულია ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის ერთობლივი ოპერაციული პროგრამით, ევროპის სამეზობლო ინსტრუმენტის „შავი ზღვის აუზი 2014-2020“-ის ფარგლებში - პრიორიტეტი 1.2 „ტრანსსასაზღვრო შესაძლებლობების გაზრდა ვაჭრობისა და სოფლის მეურნეობის და მასთან დაკავშირებული სექტორების მოდერნიზაციისთვის“. პროექტი გრძელდება 30 თვე - 01.06.2020-დან 30.11.2022-მდე /. პროექტის მთლიანი ბიუჯეტია: 799,279.60 ევრო / 3,014,930 ლარი.

ელკანა ELKANA

Project funded by EUROPEAN UNION

AGREEN Community for climate-smart agriculture

Black Sea CROSS BORDER COOPERATION

შეხვედრის დღის წესრიგი

ტრანსსასაზღვრო ალიანსი შავი ზღვის აუზის ქვეყნებში კლიმატგონივრული და მწვანე სოფლის მეურნეობისათვის (AGREEN)

საინფორმაციო შეხვედრა

თარიღი: 26.02.2021
დრო: 12:00-14:30
ფორმატი: ონლაინ შეხვედრა
სამუშაო ენა: ქართული

11:50	რეგისტრაცია
მისალმება	
12:00	მარიამ ჯორჯაძე, დირექტორი / AGREEN პრაქტიკოსთა ქსელის (COP) კოორდინატორი, ბიოლოგიური მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
12:05	ვიოლეტა დიმიტროვა, AGREEN პროექტის კოორდინატორი, დობრუჟას აგრარულ და ბიზნეს-სკოლასთა, ბულგარეთი
12:10	დავით ბუჯიაშვილი, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი
პროექტის პრეზენტაცია	
12:10	მიხეილ პაკაცოშვილი, AGREEN პროექტისკოორდინატორი, ბიოლოგიური მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“
12:30	დისკუსია
კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობა	
12:40	ბენიამინ მემარნიშვილი, ექსტენციის ექსპერტი, ბიოლოგიური მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ „ორგანული და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“
13:10	მარიამ ჯორჯაძე „კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე“

13:40	ელენე შატბერაშვილი, ადვოკატირების ოფიცერი, ბიოლოგიური მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ „სახელმწიფო პოლიტიკა და მისი გავლენა კლიმატგონივრულ სოფლის მეურნეობაზე“
14:10	დისკუსია
შეჯამება	
14:10	შესაძლო თანამშრომლობა და გეგმები / შეჯამება